# მცირე პანაშვიდი

**მღვდელი** – კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**გუნდი** – ამინ.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ (3-ჯერ).

**მედავითნე** – დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლად-წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო გვიხსენ და გვილხინენ ჩვენ ცოდვათა ჩვენთაგან; მეუფეო, შეგვინდევ უსჯულოებანი ჩვენნი; წმიდაო, მოიხილენ და განჰკურნენ უძლურებანნი ჩვენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალენ (3-ჯერ)

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან.

**მღვდელი** – რამეთუ შენი არს სუფევა ძალი და დიდება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**გუნდი** – ამინ.

სულთა თანა აღსრულებულთა მართალთასა, სულთა მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთათა განუსუენენ, მაცხოვარ, და ღირს-ჰყვენ სანატრელსა მას ცხოვრებასა, კაცთ-მოყვარე.

განსასუენებელსა შენსა, მაცხოვარ, სადა ყოველნი წმინდანი შენნი მკვიდრ-არიან, განუსუენენ სულთა მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთათა, რამეთუ შენ მხოლო ხარ კაცთ-მოყვარე.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

შენ ხარ ღმერთი, რომელი შთახედ ჯოჯოხეთად და დახსენ სალმობანი შესუენებულთანი; აწცა განუსუენენ, ქრისტე ღმერთო, სულთა მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთათა.

აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შენ მხოლოო უბიწოო და უხრწნელო ქალწულო, რომელმან ჰშევ ღმერთი ხორც-შესხმული, მას ევედრე, რაითა აცხოვნნეს სულნი მათნი.

**დიაკონი** – შეგვიწყალენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით, ისმინე და შეგვიწყალენ.

**გუნდი** – უფალო შეგვიწყალენ (3-ჯერ).

**დიაკონი** – მერმეცა გევედრებით განსუენებისათვის სულთა მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა (სახელები), რაითა შეენდვნენ მათ ყოველნი შეცოდებანი მათნი, ნებსითნი და უნებლიეთნი.

**გუნდი** – უფალო შეგვიწყალენ (3-ჯერ).

**დიაკონი** – რაითა უფალმან ღმერთმან ჩუენმან დააწესნეს სულნი მათნი, სადაცა მართალნი განისუენებენ.

**გუნდი** – უფალო შეგვიწყალენ (3-ჯერ).

**დიაკონი** – წყალობა ღვთისა და სასუფეველი ცათა და მიტევება ცოდვათა მათთა, ქრისტეს მიერ, უკუდავისა მეუფისა და ღვთისა ჩუენისაგან მათთვის ვითხოვოთ.

**გუნდი** – მოგვმადლენ, უფალო.

**დიაკონი** – უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**გუნდი** – უფალო შეგვიწყალენ.

**მღვდელი** – ღმერთო სულთაო და ყოველთა ხორციელთაო, რომელმან სიკუდილი განაქარვე და ეშმაკი დასთრგუნე და ცხოვრება სოფელსა მიანიჭე, შენ უფალო განუსუენე სულთა მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა (სახელები), და ყოველთა აქა მოხსენებულთათა, ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწუანვილოვანსა, ადგილსა განსასუენებელსა, სადა-იგი არა არს სალმობა, მწუხარება და სულ-თქუმა, და ყოველნი ცოდვანი მათ მიერ ქმნილნი, საქმითნი, სიტყვითნი და მოგონებითნი, ვითარცა სახიერმან და კაცთ-მოყუარემან ღმერთმან, შეუნდვენ, რამეთუ არა არს კაცი, რომელი ცხოვნდეს და არა ცოდოს, რამეთუ შენ მხოლო ხარ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა, და სიმართლე შენი სიმართლე არს საუკუნო, და სიტყუა შენი ჭეშმარიტ.

რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება და განსუენება, მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა (სახელები) და ყოველთა აქ მოხსენებულთა, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, თანა-დაუსაბამოით მამით, და ყოვლად-წმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**გუნდი** – ამინ.

წმიდათა თანა განუსუენე, ქრისტე ღმერთო, სულთა მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთათა, სადა-იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული, და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

**დიაკონი** – სიბრძნით.

**გუნდი** – გვაკურთხენ.

**მღვდელი** – ყოვლად-წმიდაო ღვთისმშობელო, გუაცხოვნენ ჩუენ.

**გუნდი** – უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით ვადიდებდეთ.

**მღვდელი** – დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა.

**გუნდი** – დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო შეგვიწყალენ (3-ჯერ).

გვაკურთხენ.

**მღვდელი** – რომელი ცხოველთა და მკუდართა აღდგომა არს, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლად-უხრწნელისა დედისა თვისისათა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლად-ქებულთა მოციქულთა. ღირსთა და ღმერთ-შემოსილთა მამათა ჩუენთა და ყოველთა წმიდათათა, სულნი ჩუენგან მიცუალებულთა მონათა და მხევალთა თვისთა (სახელი), საყოფელსა მართალთასა დააწესნეს, წიაღთა შინა აბრაჰამისთა განუსუენოს, და ჩუენ შეგვიწყალნეს, ვითარცა სახიერ არს და კაცთ-მოყვარე.

**გუნდი** – ამინ.

**დიაკონი** – სანატრელსა შინა დაძინებასა საუკუნო განსუენება მიჰმადლენ, უფალო, მიცვალებულთა მონათა შენთა, ყოველთა აქა მოხსენებულთა და მიეც მათ საუკუნო ხსენება.

**გუნდი** – საუკუნოდ იყავნ ხსენება მათი, საუკუნოდ იყავნ ხსენება მათი, ხსენება და კურთხევა მათი.

სულმან მათმან კეთილთა შინა განისუენოს, და ნათესავმან მათმან დაიმკვიდროს ქუეყანა.

სულნი და სულნი მართალთანი, შენ გაქებენ უფალო (3-ჯერ).